ს.ს.ი.პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

07.07.2009 № 82

(თბილისი)

სტუ-ს №64 (17/06/2009წ.) ბრძანებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი 63-ე მუხლის საფუძველზე სტუ-ს №64 (17/06/2009წ.) ბრძანებაში ცვლილებების შეტანის მიზნით

ვბრძანებ

1. სტუ-ს №64 (17/06/2009წ.) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
„2. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებს (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტში არაუგვიანეს 11 ივლისამდე;“

2. სტუ-ს №64 (17/06/2009წ.) ბრძანების მე-3 პუნქტით დამტკიცებული დანართის ფორმა შეიცვალოს და დამტკიცდეს ამ ბრძანების №1 დანართით წარმოდგენილი სახით;

3. სტუ-ს №64 (17/06/2009წ.) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
„4. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებს (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) კონკურსის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 15 ივლისისა;“

4. სტუ-ს №64 (17/06/2009წ.) ბრძანების მე-4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
„4.1. კონკურსანტთა რეგისტრაცია ჩატარდეს შეასაბამის ფაკულტეტებზე ამა წლის 17 ივლისის;
- საკონკურსო გამოცდა ჩატარდეს ამა წლის 20 ივლისს;

- სააპელაციო განცხადებების მიღება და მათი განხილვა მოხდეს ამა წლის 22 ივლისს;
- საკონკურსო გამოცდის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს ამა წლის 23 ივლისს.

5. ბრძანების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

რექტორი,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი ლ. კლიმიაშვილი

სასწავლო დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი 1

| სტუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა | სწავლების წელი |
|---|---|
| საბაკალავრო პროგრამებისათვის | |
| 0-დან 25-მდე | პირველი |
| 25-დან 80-მდე | მეორე |
| 80-დან 160 მდე | მესამე |
| 160-დან 240-მდე | მეოთხე |
| უმაღლესი პროფესიული პროგრამებისათვის | |
| 0-დან 25-მდე | პირველი |
| 25-დან 110-მდე | მეორე |
| 110-დან 150-მდე | მესამე წლის პირველი სემესტრი |